ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1726392

ნომერი: AR1282852

თარიღი : 04.02.2015

გაცემის თარიღი : 11.02.2015

გაცნობის თარიღი : 12.02.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბ.ხმელნიცკი , N 42 , (ნაკვეთი N29/38) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილ ჯანაშია პ/ნ 01030002693
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 83/23

ნომენკლატურა :

- საწყობი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1173
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 8.08.2011

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საწყობი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თინათინ ყიფიანი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: ს.ს. "ისანი ქართუ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206026423
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ავთანდილ ჯანაშია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01030002693

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 13207.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 6053.7
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 436.5
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 436.5
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 3225.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 3225.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 0.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 9.25
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 9.25
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 6053.7 კ1=0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 6053.7 კ2=0.5
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 4200 კ3=0.3

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს: სამსახურში არსებული მასალიდან ირკვევა, რომ 08.08.11 წლის #1173 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე 21.10.11 წელს 01/3187 და 10.08.11 წელს 01/2234 ბრძანებებით შეთანხმდა ლითონკონსტრუქციების დამამზადებელი საამქროს დამხმარე სათავსოების არქიტექტურული პროექტი, რაზეც 19.11.2013 წლის №995699 და 30.11.2012 წლის №448265 გადაწყვეტილებებით, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.17.11.029.038 გაცემულია დასკვნა განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების შესახებ, შესაბამისად ზემოთაღნიშნული აქტების საფუძველზე შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული საპროექტო ობიექტები მიღებულია ექსპლუატაციაში.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა). ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის შემდგომ (I სტადია), გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან საპროექტო შენობის ასაშენებლად არ არის გაცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია საფუძველს დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან ვინაიდან სამსახურის მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ

გამოყენების პირობების, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის და მშენებლობის ნებართვის საფუძველზე აშენებული შენობა-ნაგებობები მიღებულია ექსპლუატაციაში, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით ახალი შენობის განსათავსებლად საჭიროა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა, იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს პირველ რიგში საკითხი უნდა დააყენოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე, რისთვისაც სამსახურის ელექტრონულ მისამართზე www.tas.ge უნდა აირჩიოთ შესაბამისი ნომენკლატურა და ველები.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.